# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

**ხუთშაბათი 12 ივნისი**

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 77 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 77


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

**ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.**

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. $^1/_2$ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.


## „რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 12 ივნისიდან, ახალი პროგრამა.

პატე ჟურნალი № 273-ა

## ყავის პლანტაციები

## ვარსკვლავი გენიისა

თანამედროვე დრამა სამ ნაწილათ, მხატვრული სურ. პარიზის დიდი ოპერის ნაპერკოვსკის არტისტ ქალის მონაწილეობით.

## მონადირის ნიძლავი

კომიკური.

---

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

---

## ქუთაისი

## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დილით.**

| | |
|---|---|
| ბ. ა. **მირაქოვი**—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული | 1—2 |
| გ. ს. **ნადირაძე.**—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. **ბეთანოვი.**—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2მ |

**საღამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი**

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## ქუთაისი.

## თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

---

სპეციალური წიგნის მაღაზია

## კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ექიმი** ი. **ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს.

სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

**ექიმი** ბ. ა. **მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

---

**ქ. ქუთაისში**

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

ბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. **კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.


---

## ბერტა ფონ-ზუტნერი.

ავსტრიაში გადაიცვალა სახელგანთქმული მწერალი ქალი ბერტა ფონ-ზუტნერი. თავისი სამწერლო მოღვაწეობა მან დაიწყო 1883 წელს და დასწერა მრავალი ნოველლა, რომლებმაც უცბათ მოუპოვეს ნიჭიერი მწერლის სახელი. 1889 წელს, როცა მთელი გერმანია ომის ჟინიანობით იყო მოცული, მან გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი რომანი: „ძირს იარაღი“, რომელმაც შემდეგში ავტორს ნობელის პრემია მოუპოვა. მის უკანასკნელ შრომას შეადგენს წიგნი, რომელიც მან გამოსცა 1909 წელსა და რომელშიც თავისი საინტერესო თავგადასავალი მოუთხრო ევროპის საზოგადოებას. თავისდროზე ამ წიგნმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ევროპის პრესაში და მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში არა თქმულა რა მის შესახებ, და ეს მაშინ, როცა ამ წიგნში საქართველოზე ბევრი რამ არის ნათქვამი.

ჩამომავლობით ბერტა ფონ-ზუტნერ ავსტრიის არისტოკრატიას ეკუთნოდა. ჯერ კიდევ ახალგაზდა და გასათხოვარმა გრაფინია ბერტამ მამის ოჯახი მიატოვა და ერთს ოჯახში აღმზრდელათ გაწესდა. ამის შემდეგ იწყება მისი შინაარსით სავსე ცხოვრება, რომელმაც ბოლოს საქართველოში მოიყვანა. აქ იგი დაუახლოვდა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინეს სასახლეს, სადაც დიდხანს დაჰყო. რა აერთებდა ბედისაგან უცხოეთში გადმოხვეწილს ქალს სამეგრელოს დედოფლის ოჯახთან—ნამდვილათ არავინ იცის. მაგრამ თვით ბერტა ფონ-ზუტნერის „თავგადასავალში“ არის ერთი ადგილი, რომელიც ზოგიერთ აზრებს გვიბადებს. ბერტა ფონ-ზუტნერი თავის წიგნში აცხადებს, რომ სამეგრელოს უგანათლებულესმა თავადმა (Fürst von Mingrelien) მას ხელი სთხოვა. ასეთი რამ ევროპის პრესსამ ბერტა ფონ-ზუტნერს გადამეტებულად და დაუჯერებლად ჩაუთვალა, მით უმეტეს, რომ მწერალ ქალს თავის საქმროდ მარტო სამეგრელოს უგანათლებულესი თავადი კი არა ჰყავს ნახსენები, სხვა ბევრი პრინცებიც. მაგალითად, იმავ წიგნში მოთხრობილია, რომ მისი შერთვა სურდა აგრეთვე ირაკლი ბატონიშვილს (Prinz Heraklius von georgien), პრინც ვიტგიშტეინს და სხვა მრავალთ. ძნელია გამოცნობა, მართლა გრძნობდენ ეს პრინცები ახალგაზდა გარდახვეწილ ქალისადმი რამეს, თუ არა ვიცით მხოლოდ, რომ იგი პრინცესსა არ გამხდარა და ბოლოს ცოლად ბარონ ფონ-ზუტნერს გაჰყვა, რომელთანაც სამწერლო ასპარეზი აერთებდა.

ცოლმა და ქმარმა ცხრა წელიწადი დაჰყვეს საქართველოში და მრავალჯერ აქვთ აწერილი თავის თხზულებებში მისი ბუნება, ხალხი და ზნე ხასიათი. ზუტნერები საქართველოდან ევროპაში გადასახლდენ და უმთავრესად ავსტრიაში სცხოვრობდენ. გადაიცვალა ბერტა ფონ-ზუტნერი 71 წლისა.

---

## მიეშველეთ ვენახებს.

ამდენი წვიმების შემდეგ ჭრაქი, ნაცარი და სხვა ავათმყოფობანი უხვათ მოედებიან ჩვენს ვენახებს; სითფო და სინოტიე სოკოს სენის განვითარებას ხელს შეუწყობს და, თუ არ შევებრძოლეთ დროზე, ბევრ ზარალს მოგვაყენებს. ამისათვის დაუყონებლივ, როგორც ამინდი ნებას მოგვცემს, ვენახებს უსათუოდ უნდა უწამლოთ ბორდოს სითხითა (6 ფუთი წყალი, 3 გირვანქა შაბიაბანი, 2 გირვანქა კირი; ანუ 5 ფუთი წყალი, 2 გირვანქა შაბიაბანი, 1 ნახევარი გირვანქა კირი) და გოგირდით. გოგირდით წამლობა ჩვენში გავრცელებული არ არის და ნაცარის წინააღმდეგ ის უებარი საშუალებაა. გოგირდი უნდა მიეფრქვეს ზომაზე, ძლივს უნდა აჩნდებოდეს.

ნამეტან სიცხეში წამლობა არ შეიძლება (დასწვავს); როცა მოწმენდილი დღეა, მზიანი და უქროლი მუშაობა, მაშინ უნდა დილიდან; როცა ძრიელ ასიცხდება—11 საათზე წამლობა უნდა შესწყვიტოთ დაახლოებით ორ საათამდი. გრილში გოგირდით არ ეწამლება. საფრქვევი მანქანა (ვერმორელის ტოსპილი) ღირს დაახლოებით 9 მანეთად; გოგირდს სხვა ნივთიერება არაფერი არ უნდა ერიოს, უნდა იყოს წმინდა (შეიძინეთ, სანდო პირებიდან) ფუთი ღირს რვა აბაზამდი.

მუშაობის დროს არ დაგრჩესთ მტევნები უწამლოთ.

ვსთხოვ უმორჩილესად სხვა გაზეთებმა გადაბეჭდონ.

უფროსი სპეციალისტი **კ. ბერეჟაშვილი.**

---

## წერილი სოფლიდან.

დღეს სოფლათ ბევრისაგან გაიგონებთ საყვედურს იმის შესახებ, რომ თანამედროვე სახალხო სკოლა თითქმის არავითარ ცოდნას არ აძლევს ბავშს და მხოლოდ ტყუილა უბრალოთ დროს აკარგვიებს მას. არ გეგონოსთ, რომ ამის მიზეზი იყოს მარტო მასწავლებელთა დაუდევრობა, ან ის, რომ ხალხს არ ქონდეს შეგნებული სწავლის მნიშვნელობა. პირიქით, ხალხი, ძლიერ აფასებს სწავლა განათლებას და ყოველწლიურათ მრავალ სასწავლებელს ხსნის იგი სოფლათ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შკოლების შესახებ საყვედურები მაინც გა-

ისმის და ამის მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ.

მართლაც, ვინ არ იცის, რომ თანამედროვე სახალხო სკოლა უფრო პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, ვიდრე თავის პირდაპირ დანიშნულებას; ვინ არ იცის, რომ ჩვენი სკოლები, თანამედროვე პირობების წყალობით, ვერ აძლევენ მოწაფეებს იმდენ ცოდნასა და განვითარებას, რომლის მიცემაც შეეძლო მას სხვა პირობებში? ამიტომ არის, რომ ბავშები სკოლაში ხუთ-ექვს წელიწადს დაჰყოფენ ხოლმე და გამოდიან იქიდან თითქმის ხელცარიელი. ერთადერთი, რაც რჩებათ მათ ამ ხუთი-ექვსი წლის შრომისაგან, არის წერა და კითხვა, და ისიც მაშინ, თუ ხშირად ივარჯიშებენ სახლში და ამით დავიწყებას არ მისცემენ მას.

ამას კიდევ რა უშავს, სხვა უფრო დიდი, უარყოფითი მხარე რომ არ ქონდეს დღევანდელ სახალხო სკოლას. სკოლიდან გამოსულნი ხშირათ მიუჩვეველნი არიან მუშაობას; შემდეგ კი ისინი ძლიერ ძნელათ ჰგუებიან მას და ამრიგათ რჩებიან, როგორც თვით ხალხი ამბობს, რიყეზე. და აი, ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ხალხი ასე ალმაცერათ უყურებს სკოლებს, თუმცა სწავლის მნიშვნელობას ძლიერ აფასებს; სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ხალხი თავის შვილებს ბოლომდი არ აჩერებს სკოლაში და ერთი-ორი წლის შემდეგ უკან მიყავს. რომ კითხოთ ამის მიზეზი —გიპასუხებს:—„რა ვქნა, ბატონო! სულ ერთია წერა კითხვაზე მეტს მაინც ვერაფერს ისწავლის და ეს ახლაც კი იცის ჩემმა შვილმაო“. უმჯობესია, სახლში წავიყვან და ვამუშავებ, იქნებ მაინც არ მოცდესო“.

დიახ! ხალხი გულგატეხილია დღევანდელი ჩვენი სკოლებით, უფრო იმიტომ, რომ იგი მუშაობას ავიწყებს მათ შვილებს და სამაგიეროთ იმდენ ცოდნას არ აძლევს, რომლითაც შეეძლოს მას ცხოვრება. აბა მიეცით მათ საზოგადო ცოდნასთან ერთად სამეურნეო ცოდნა, ასწავლეთ თუ როგორ უნდა მიწის მოვლა და ხეხილის გაშენება და მაშინ ნახავთ, თუ როგორის პატივისცემით მოეპყრობა ხალხი ასეთ სკოლებს. დღეს ჩვენი სოფელი ყველაზე უფრო საჭიროებს სამეურნეო სკოლებს, ისეთ სკოლებს, რომელნიც შემდეგში ხელს შეუწყობენ თავის მშობლებს ადგილ-მამულის საუკეთესოთ მოწყობაში.

ეს აზრი ახალი არ არის. იგი დიდი ხანია ტრიალებს ხალხში და უკვე მომწიფებულათ უნდა ჩაითვალოს; მაგრამ საუბედუროთ მას ჯერჯერობით არავინ ყურადღებას არ აქცევს. ნამდვილათ კი ამ აზრის სისრულეში მოყვანა ახლა არც ისე ძნელია, რადგან სამეურნეო სკოლების გავრცელებას მთავრობაც ძლიერ უწყობს ხელს და თავის დროზე შესაფერ დახმარებასაც იძლევა.

აშოტ კურაშვილი.

## საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საყურადღებოთ!

ამას წინათ მომიხდა სოფ. გოდოგანში ყოფნა. აქ შევხვდი ერთ ჩემს მეზობელს, რომელმაც მიჩვენა სავსე ხელსახოცი ძვლებითა და კაჟებით და მკითხა: ეს პირიანი ჰიქის ნამტვრევებია თუ არა? დავაკვირდი და შემდეგ ღიმილით ვუპასუხე: მაშ რა უნდა იყოს-მეთქი.— მეც ასე მგონია, მითხრა იმან: მაგრამ ერთი „ლემეცი“ ჩამოვიდა და ის ამბობს: „ეს კაჟების ნამტვრევებიაო“. მეზობლის ლაპარაკმა ძლიერ გამაკვირვა და გამოვკითხე იმ კაცის ვინაობის შესახებ და მისი აქ მოსვლის მიზეზი. ლაპარაკის დასრულების შემდეგ ვსთხოვე წასვლა იმ ადგილისაკენ, სადაც თხრიდენ ძველებურ ნაშთებს (ამ ადგილს უწოდებენ ყურიის ბოლოს და მდებარეობს ერთი ვერსის მანძილზე მოწამეთიდან) მივედით ერთ გამოქვაბულში, რომელშიც იყო ორი კაცი ევროპულათ გამოწყობილი. ერთი მათგანი ძვლებს და კაჟებს არჩევდა, მეორე კი მუშებს ხელმძღვანელობდა. მივესალმე ერთ მათგანს და გამოვკითხე ვინაობა და მათი აქ ჩამოსვლის მიზეზი —მე, სთქვა ერთმა, ვარ პროფ. შმიდი, მეორე კი, რომელიც ორმოსთან დგას —არქეოლოგი ლ. კონსტანსკი. პროფესორმა განაგრძო: მე წამოსული ვარ გერმანიიდან, მეორე კი ავსტრიიდან რუსეთის ხალხთა განმანათლებელი სამინისტროს თაოსნობით და ვეძებთ ქვის ხანის ნაშთებს. აი, მითხრა პროფესორმა, და გაიშვირა ხელი ორმოსაკენ, ხომ ხედავ შავ მიწას მეორე ორ არშინის სიმაღლეზე წითელს და ძირს ისევ შავს. ეს ერთი პლასტი, რომელიც შესდგება ზედა შავისა და წითელი მიწისაგან, ორი არშინის სიმაღლეზე რამდენიმე ათასი წლის შემდეგ გაკეთებულა. ამ პლასტზე ჩვენ ვცხოვრობთ ე. ი. ისტორიული ხალხი. ქვევით შავ მიწაზე კი ცხოვრობდა ქვის ხანის ხალხი, რომელსაც ისტორია არ იცნობს. ახლა ჩვენ ვართ გამოგზავნილი ამ ქვის ხანის ნაშთების შესაკრებათ და ამის მიხედვით უნდა დამტკიცდეს ის, რომ სად ცხოვრობდა უწინ ქვის ხანის ხალხი. ასეთი ნაშთები დიდიხანია იპოვეს ევროპაში, რითაც ხელმძღვანელობდა დარვინი თავის მეცნიერული გამოკვლევებში მეტაფიზიკური საკითხების ასახსნელათ. ამ მიზნით ვიმგზავრეთ ყირიმის კუნძულზე და შავი ზღვის ნაპირებზე, მაგრამ ასე ბლომათ, როგორც აქ არის—ვერსად ვერ ვიპოვეთ, აი, შეიძლება გაგიგონია ქვის ხანა, როდესაც რკინა კიდევ არ იყო მოგონილი, მაშინ ამისთანა პირიან და წვეტიან კაჟებს ხმარობდენ იარაღათ. მან თან მომაწოდა ერთი კაჟის ნატეხი, რომელსაც ვერ გაარჩევდი ჰიქისაგან და მითხრა: აბა გაშინჯეთ როგორი მჭრელია! ავიღე ხელში და დავადევი ნაგლეჯ ტყავს, რომელიც დანასავით გასჭრა. შემდეგ, გამომკითხა ვინაობა და მითხრა: იმედია თუ აქ იქნებით დამეხმარებით ასეთ ალაგების ძებნაშიო.

ლაპარაკის დასრულების შემდეგ, მოვსთხოვე ცოტაოდენი ძველი ნაშთები ქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის გადასაცემათ. დამპირდა თხოვნის შესრულებას, მხოლოდ ძებნის გათავების შემდეგ.

ურიგო არ იქნება, თუ ამ პირებს ყოველისფერ ცნობებს მიაწოდებს ქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება ქვის ხანის შესახებ. ეს მოვლენა შესანიშნავია მით უფრო, რომ ყველა ერის მეცნიერები იღებენ მონაწილეობას ამ გამოკვლევაში და თანაც დიდ ყურადღებას მიაქცევენ ამ ისტორიულათ დადათ შესანიშნავ ადგილებს.

კრზ.—ჭირაქაძე.

## მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირი.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თანამედროვე ცხოვრებაში პროფესიონალურ კავშირებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. პროფესიონალური კავშირი ერთნაირათ საჭიროა როგორც მუშისათვის, ისე სხვადასხვა დარგის მოხელეთათვის; თუ მუშას პროფესიონალური კავშირის შემწეობით შეუძლია გააუმჯობესოს თავისი შრომის პირობები, თუ კავშირი ხელს უწყობს მის პროფესიონალურ განვითარებას, თვითშემეცნებას, არა ნაკლებ სარგებლობას მოუტანს იგი სხვადასხვა უწყებაში მსახურ პირებს. ავიღოთ თუნდა მასწავლებლები. რომ მასწავლებელთა შორის დიდი მოთხოვნილებაა პროფესიონალური კავშირის დაარსებისა, ეს ცხადის უცხადესია, ამაზე ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა. დღეს მასწავლებელთა ფაქტიური უფლებების წრე თანდათან ვიწროვდება. დღეს, როცა ხედავთ, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებენ „ზევიდან“—რწმუნდებით, რომ მასწავლებლებს უფრო იმონებენ, მის პოლიტიკურ უფლებებს ფიქციათა ხდიან... განა იგივე გროზდოვ-კრუპსკი-გასპარიანცების მიერ სადი პედაგოგიური პრინციპების შელახვა ამის დამამტკიცებელი ილიუსტრაცია არ არის? თუ მაშინ ამ ბრძოლაში (81 წლის გეგმის დაცვაში) შეურაცხყოფილმა მებრძოლებმა გაიმარჯვეს, ეს ერთი მხრით, უნდა მივაწეროთ მათ პირად შეუპოვრობას და, მეორე—ქალაქის თვითმართველობის ჩარევას ამ საქმეში. მაგრამ რამდენი ერთი მასწავლებელია, რომ ამისთანა საშიში ნაბიჯი გადასდგას, ასეთი „რისკი“ გასწიოს? ამისთანები ცოტანი გვყავს და კიდევაც რომ გვყავდეს ერთი და ორი კაცი მაინც ბევრს ვერაფერს გააკეთებს. აქ საჭიროა საერთო ხმა, საერთო ამოძახილი, მთელმა მასწავლებლობამ საერთო გასაჭირზე ხმა უნდა აიმაღლოს და მტკიცეთ დაიცვას თავისი პოზიცია.

მასწავლებელთა კავშირი, მაგ. გერმანიაში, მისი დიდი გავლენა სწავლა-განათლებაზე დამამტკიცებელია მისი, რომ პროფესიონალურ კავშირს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ამბობენ, მასწავლებელთა თავის მოყრა ძნელია, ისინი გაპნეული არიან და თავისუფალ დროს ყველა თავის სახლისაკენ მიეშურება, ყველას თავის საქმე აწუხებსო; მეორე, ცოტა ხნით კიდევაც, რომ მოიყაროს რამდენიმე კაცმა თავი კავშირის შესახებ რაიმეს გადაწყვეტა შეუძლებელიაო. ეს, ერთი მხრით, მართალია, თუმცა არც ისე შეუძლებელი. მაგრამ დღეს შემთხვევა გვეძლევა, რომ ეს შეუძლებლობა შესაძლებლათ გავხადოთ და აზრი მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირის შესახებ სისრულეში მოვიყვანოთ.

საქმე იმაშია, რომ წელს ამ თვის 15 დ. ხონში მოწვეულია ქუთაისის დირექციის ყველა რაიონიდან ოთხმოცამდი სახალხო მასწავლებელი. აქ მათთვის მოწვეული იქნებიან ლექტორები, რომელიც ლექციებს წაიკითხავენ ლიტერატურაზე, პედაგოგიურ საკითხებზე, მისცემენ სანიმუშო გაკვეთილებს და სხვ. კურსები გაგრძელდება ერთ თვემდი, ამ ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლებს შეუძლიათ აღძრან თავიანთ წრეში საკითხი კავშირის შესახებ, შეთანხმდენ და ითხოვონ სადაც ჯერ არს წესდების დამტკიცება. ეს წესდება დაბეჭდილია რუსულათ „განათლების“ მე 5-ნუმერში სავსებით, ასე, რომ წესდების და განცხადების შედგენისათვის დრო არ დაეკარგებათ და მიზანს უფრო მალე მიაღწევენ. ამისთანა შემთხვევები მასწავლებლებს ბევრი არ ექნებათ და საჭიროა მათის მხრით ცოტა ენერგია, ინიციატივა და მოსალოდნელია, რომ ამ კარგ საქმეს სამიკვლს [illegible] ჯერ ჩვენში არ არსებობს მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირი—და ვუსურვებთ ხონის კურსებზე მყოფ პირთ, რომ ეს საქმე დაეწყოსთ.

ჭომი ნაკვეს.

# ქუთაისი.

ახალი ამბავი.

✦ 10 ივნისს ადგილობრივ ნაფიცვექილთა კორპორაციამ საზოგადო საკრებულოში, სახელმწიფო სათათბიროს წევრს, ვ. ა. ბ-ნ მაკლაკოვს ვახშამი გაუმართა. ვახშამზე მიწვეული იყო ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი, ქუთ. ქალაქის მოურავი თავ. ი. მ. ჩიქოვანი და სხვა კერძო პირები. ვახშამზე გრძნობიერი მოკლე სიტყვა სთქვა მგოსანმა. ვრცელი სიტყვით ქართველების მდგომარეობის შესახებ მიმართა ბ-ნ მაკლაკოვს თავი ი. მ. ჩიქოვანმა. მაკლაკოვმა თავის მხრით გრძნობიერი სიტყვით გასცა პასუხი. ვექილებმა იგი ნავახშმევს სასტუმრომდი მიაცილეს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ამხანაგი ლარიონოვი, რომელმაც გამოძიება მოახდინა ქ. ქართულ გიმნაზიაში, გუშინ უკვე დაბრუნდა თფილისს.

✦ ამ მოკლე ხანში ლექტორი გრიგოლ რობაქიძე ქუთაისში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „გამარჯვება თუ დამარცხება“, გედევანიშვილის ,,სინათლის შესახებ“.

✦ 11 ივნისიდან პეტერბურგში დაიწყო ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოების კავშირის კრება. ამ კრებაზე ქუთაისის საზოგადოებას გაგზავნილი ყავს თავის წარმომადგენლათ ბ-ნი იაკობ ჩიმაკაძე. კრებაზე სხვათა შორის გაირჩევა ქუთაისის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების მოქმედების გავრცელების საკითხი ქუთ. გუბერნიის სხვადასხვა პროვინციაში.

✦ 10 ივნისს პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად ფასობდა.

✦ კარლოვის დასახვევი ქუჩა ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. რკ. გზის სადგურიდან დატვირთულმა დროგებმა ამ ქუჩით უნდა იარონ. საჭიროა, ეს გზა დროზე შეკეთდეს.

✦ ამ კვირაში შესდგება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქუთაისის განყოფილე-

## უბრალო ჭეშმარიტებანი.

(წერილი ლონდონიდან)

როცა ქვეყანას ემუქრებიან ძალნი ბუნებისა, როცა ქვეყანას მოელის ხოლერა, თუ შავი-ჭირი, სიმშილი, თუ მტრისგან აოხრება, მაშინ ყოველივე პატიოსანი ხალხი განურჩევლად პარტიებისა, კლასისა, სარწმუნოებისა და ასაკისა, მოიკრებს ხოლმე მთელ თავის ძალღონეს, შეაერთებს ხოლმე თითოეულის ცოდნასა და ნიჭს, რომ შეერთებულის ძალებით გაუმკლავდეს ქვეყნის საერთო უბედურებას.

მე მგონია, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყანა განიცდის ერთ-ერთ ამ საერთო უბედურებას... აი, ამიტომ მე მინდა მივმართო არა ამა თუ იმ დასს, არა ამა თუ იმ კლასს და სარწმუნოების აღმსარებელს, არა! მე მსურს მივმართო ყველას ერთად, ვინც კი ჩემს სამშობლოში ცხოვრობს და მოვახსენო შემდეგი:

ვიდრე ახალი სახლი არ დამთავრდება, ძველს არ დაანგრევენ ხოლმე. ვიდრე ახალ უფლებებს არ შეიძენენ, ძველ უფლებებზე ხელს არ აიღებენ ხოლმე, რაც უნდა უბირი და საპყარი იყოს ეს უფლებანი.

ეს საანბანო ჭეშმარიტებაა და ამის მტკიცებასაც არ დავიწყებ, ვინაიდან ჭკუათა მყოფელი კაცისათვის ეს თავისთავად ცხადია. და ასედაც იქცევა. მაგრამ განა ასე ვიქცეოდით ჩვენ, ქართველები, მთელის წარსულის საუკუნის განმავლობაში? განა ასე ვიქცევით დღესაც? ვეჭვობ და ვეჭვობ დიდათაც...

წარსულ საუკუნის დასაწყისში ჩვენ გვქონდა არჩევნებზე დამყარებული მმართველობა (ადმინისტრაცია), ჩვენ გვქონდა ამავე არჩევნებზე დაფუძნებული სასამართლო ეროვნულის კანონმდებლობით (სჯულდება ვახტანგისა), ჩვენ გვქონდა ჩვენი ეროვნული ავტოკეფალური ეკლესია, რომელსაც განაგებდა ხალხის მიერ არჩეული კათალიკოსი, ჩვენ გვყავდა ჩვენი ეროვნული ჯარი, შეკრებილი იმ წესითა და სისტემით, რომელსაც თავგამოდებით ქადაგებს დემოკრატია მთელის ევროპისა.

დიახ, ყველა ეს გვქონდა და გვყავდა, მაგრამ ყოველივე ეს დავკარგეთ, ვერ შევირჩინეთ... როგორ და რანაირად? ამაზე არას ვიტყვი. ყველას კარგად მოეხსენება როგორ დავკარგეთ და რათაც ვერ შევირჩინეთ.

მსგავსად რეგვენის სახლის პატრონისა, ჩვენ დავანგრიეთ ძველი სახლი,—იმ დროს, როცა ჯერ ახალი არ აგვეშენებინა, ჩვენ დავკარგეთ ძველი უფლებანი, იმ დროს, როცა ახალი ჯერ არ შეგვეძინა. ჩვენ მოგვიცვა უუფლებობის წყვდიადმა, ჩვენ ჩაგვნთქა საყოველთაო უმეცრებამ, საყოველთაო სიბრიყვემ. და რაც უფრო ყველაზე საოცარია ჩვენ ფუქსავატურის თვალით ვუყურებთ იმ უბედურებას, რომელიც თავზე დაგვატყდა!..

საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ცრუ, ვითომდა მეცნიერნი მეცნიერების სახელითვე არა თუ ამხილებენ და დასცინიან იმათ, ვინც სწუხან ამ უფლებათა დაკარგვის გამო, არამედ დასცინიან და მასხარათ იგდებენ თვით ჩვენს ძველ უფლებებსაც. ზოგნი ხომ—რომელთა რიცხვიც მრავალზე უმრავლესია—სახელითა დემოკრატიის უმაღლეს იდეალებისა, სახელითა სოციალიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობისა სწყევლიან არა მარტო ჩვენს ძველ უფლებათ, არამედ სწყევლიან და ეზიზღებათ ის წარსულიც, რომელმაც ჩვენ გვიანდერძა ის უფლებანი. ასეთი ფაქტი, ასეთი მოვლენა ერთად ერთია მთელის ევროპის ისტორიაში!.. ის ხალხი, რომელმაც დაჰკარგა თავისი ჰერი და კერა, მოხარულია უსახლკარობისა გამო, ის ხალხი, რომელმაც დაჰკარგა თავისი მეობა და უფლებანი, ტაშს უკრავს თავისს დამონებასა!..

მე გადაჭარბებით არას ვამბობ! აბა თვალი ადევნეთ ჩვენ პარტიულ პოლემიკას—მერე როგორ პოლემიკას!—აბა ყური დაუგდეთ დემოკრატიის ყალბ ორატორებს, თუ მქადაგებლებს და დამეთანხმებით, რომ მე არ ვაჭარბებ.

გაბოგანოებულებმა, უფლება აყრილებმა პარტიულის პოლემიკისა და კინკლაობისა გამო, მგონი, ნიჭიც კი დავკარგეთ უბრალო აზრის გაგებისა, შეთვისებისა!..

რისთვის, რომელის უმაღლესის მოსაზრებით უარსა ჰყოფენ, მაგალითად, თუნდა ჩვენი დასელები არჩევნებზე დამყარებულ იმ მმართველობას, რომელიც ჩვენა გვქონდა ძველათ?

— ყველა ამას ჩვენ უარსა ვყოფთ სახელითა უმაღლეს სოციალურ იდეალისა, სახელითა თანამედროვე დემოკრატიულ ერთობისაო.

— გვიპასუხებენ ისინი. არჩევის უფლება მაშინ მხოლოდ აზნაურებსა და სამღვდელოებას ჰქონდა. ეს კი უპირატესობა, პრივილეგია იყო და ჩვენ-კი დაუძინებელი მტრები ვართ ყოველივე უპირატესობისაო.

— ჭეშმარიტად—ვუპასუხებ მე—ყოველივე უპირატესობა საზიზღარია და მოსასპობიც. უფლებათა თანასწორობა, განურჩევლად სქესისა, საფუძველია თანამედროვე საზოგადოებრიობისა, აქეთ მიისწრაფვის დემოკრატია მთელის ქვეყნისა. ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენში განა ხმა ამოიღო ვინმემ არჩევანზე დამყარებულ ეროვნულ მმართველობის დემოკრატიზაციის შესახებ? განა კრინტი კი დასძრა ვინმემ მაშინ, როცა ნაცვლად, თუმცა ცუდისა, მაგრამ სამშობლო ენაზე საქმისმწარმოებელ მმართველობის მაგიერ, ჩვენ ხალხს თავზე მოახვიეს უცხო მმართველობა, უცხო ენითა და ზნე-ჩვეულებით? თუ ეს უცხო ენა ვაივაგლახით ესმოდა ჩვენ მაღალ წოდებასა და ინტელიგენციას, განა იგი დღესაც გაუგებარი და უცხო არ არის ჩვენის ხალხისათვის, ე. ი. ორ მილიონ მშრომელ ხალხისთვის?

თუ ჩვენი დასელები მარტო სიტყვით ხო არიან დემოკრატები, მათი წმინდა მოვალეობაა- იქადაგონ სამშობლო ენის აღორძინებისა და ეროვნულ მმართველობის დამყარების შესახებ.

ყველასი, და ნამეტნავად დემოკრატიის, ბუნებრივი უფლებაა განსჯილი იყოს თავის სამშობლო ენაზე, ყველასი, და უფრო კი დემოკრატიის, ბუნებრივი უფლებაა პირადი და საზოგადო საქმეები მოაწყოს სამშობლო ენაზე, იმ ერთად ერთ ენაზე, რომელიც იმას ესმის. ვინც დემოკრატიას უჭერს მხარს, იმისი მოვალეობაა დაიცვას პიროვნების ეს უუმაღლესი და უუწმინდესი უფლებაც.

— მაგრამაო—მიპასუხებენ დასელები, ეს ხომ ნაციონალიზმია და ჩვენ კი...

რაცა გნებავთ, ის სახელი უწოდეთ, მაგრამ იცოდეთ კი, უამისოდ თქვენ დემოკრატი, თანასწორ უფლების დამცველი არ ხართ. რა სახელიც უნდა დაირქვათ, უმაღლეს იდეალების რომელ დროშასაც უნდ ამოეფაროთ, თქვენ არადემოკრატობას ვერ დაჰფარავთ. ადრე თუ გვიან, ხალხი გაგიგებთ ცუღლუტობას და გამცემლს გიწოდებთ, სულ ერთია ნებსითია ეს გამცემლობა, თუ უნებლიეთი.

— ჩვენ სოციალ-დემოკრატები, რუსეთის ამ დიდებული პარტიის წევრები და გამცემლობა?...

— ვიცი!... ასეთი დაძახილი დიდი უსამართლობაც იქნება, ვინაიდან ეჭვი არავის აქვს, რომ თქვენ ერთგულად გიყვართ ხალხი და მუშათა კლასი, მაგრამ რათ ხმარობთ და ეფარებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც არ შეეფერება და ვერც გამოხატვენ სოციალიზმისა, დემოკრატიისა და ერთა შორის ძმობა ერთობის დამამყარებელ უმაღლეს პრინციპებს? აი, მაგალითად, თქვენ დადეგით რუსეთის პარტიის დროშის ქვეშ. ამითი ხომ თქვენ თქვენს თავს აცხადებთ არა **ინტერნაციონალისტებათ**, არამედ თქვენ თავს აცხადებთ **იმპერიალისტებათ**. რუსეთი **იმპერიაა** და არა **ნაცია**. რაკი თქვენ იმპერიალისტი ხართ, მაშასადამე, თქვენ სავალდებულოთ მიგაჩნიათ საიმპერიო ენა, საიმპერიო მმართველობის ერთიანობა. ამით თქვენ ღალატობთ, უარჰყოფთ ძირითად პრინციპს დემოკრატიისას ავტონომიურ თვითმართველობას ეროვნულ ენაზე. ეს კიდევ ცოტაა. ხართ რა იმპერიალისტები, და გრწამთ რა ცენტრალიზმი მართვა-გამგეობისა, და ამავე დროს თქვენ სოციალისტურ პროგრამას ამყარებთ რა „კომუნისტურ მანიფესტზე“,—თქვენ უქადით ჩვენ გლეხობას გაბოგანოებას, თქვენის მოხებით დაჰკარგავს იგი თავის ბაღ-ვენახებს და გარდაიქცევა უსახლკარო, უფლება-აყრილ მოჯამაგირე. სალდათად შრომის ლაშქრისა...

ყოველი სოციალდემოკრატი, რომელიც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, უეჭველია გულის წყრომით მომიხსენებს და იტყვის: „საზიზღარ ცილსა გვწამებს, განგებ ამახინჯებს ჩვენის პარტიის პროგრამასაო!“ გარწმუნებთ მე არც ცილისწამე-

ბის საზოგადოების მორიგი კრება. კრებაზე განხილული იქნება ბალახვნის ქუჩის მცხოვრებლების მიერ არჩეულ კომიტეტის თხოვნა, სადაც თხოულობენ, ხსენებულ ქუჩაზე ნება მისცენ აიგოს წიგნსაცავ-სამკითხველო.

✦ ქალაქის საბჭოს კრებაზე უყურადღებოთ იქნა დატოვებული ვაჭრების თხოვნა, ნორმალურ დასვენების. არსებულ სავალდებულო დადგენილების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ.

✦ ქუთაისში 11 ივნისიდან გამოდის, ყოველდღიური, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტალღა". კ. ცერცვაძის რედაქტორობით.

10 ივნისისთვის დანიშნული ქ. საადგ.-მამ. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის კრება, წევრების დაუწრებლობის გამო, არ შესდგა. კრება 17 ივნისისთვის გადასდვეს.

✦ ქალაქის საბჭოს კრებას სახაზინო პალატის საზოგადო საკრებულოს წევრის მოადგილეთ აურჩევია ვაჭარი ნესტორ ბარაბაძე.

✦ ოკრიბაში დიდ წვიმებს ყანები ძალზე გაუფუჭებია. სიმიდი ჯერ გლეხებს გაუმარგელი ჰქონიათ. შიმშილობა დღითი დღე მატულობს. ადგილობრივ პოლიციას ბევრი გაჭირვებული გლეხი დამატებით სიაში არ შეუტანია, რის შესახებაც თხოვნით მიმართეს გუბერნატორს. გუბერნატორი დაპირდა გამოიძიოს ეს საქმე.

✦ ქალაქის გამგეობის, განცხადებების გამკვრელის ავალჯანოვისთვის, თანახმად მისი თხოვნისა, უპატიებიათ საგანცხადებო ბოძების საიჯარო გადასახადი 114 მანეთი.

24 ივნისს, დილის 10 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა, იმ საიჯარო ადგილებისა, რომლის მოიჯარადრეებსაც ხვედრი გადასახადი არ წარუდგენიათ.

✦ ქალაქ ტომსკის, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ტეხნიკურ ინსტიტუტის დირექტორი ქალაქის გამგეობას სთხოვს გაუგზავნოს მას ხსენებული ინსტიტუტის სტუდენტის ვ. ა. ბურდიუკის მეტრიკული მოწმობა, რომელიც ქ. ქ. გამგეობაში ყოფილა.

✦ „კოოპერაციის" რედაქტორმა ი. გაბელაიამ მიიღო პეტერბურგის საკოოპერაციო კომიტეტის მე-3 განყოფილების თავჯდომარე ვლადისლავ თ. პეკარსკისაგან წერილი, რომლითაც ატყობინებს მას, რომ იგი თანახმაა ქუთაისის საკოოპერაციო კურსებზე ლექციების წაკითხვაზე ივლისში. „კოოპერაციის" რედაქტორს განზრახვა აქვს აგრეთვე ივლისის საკოოპერაციო კურსებზე მოიწვიოს ამავე კომიტეტის მდივანი ცნობილი კოოპერატორი პრაკტიკი ვ. ა. მერკულოვი. ამათი ჩამოსვლა რუსეთიდან რედაქციას უჯდება ხუთასი მანეთი, რაც მან სხვადასხვა წყაროებიდან უნდა შეაგროვოს. ამ ლექციების პროგრამას და დროს „კოოპ." რედაქცია თავისდროზე გამოაცხადებს.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა" უკვე მიიღო გიორგი ქუჩიშვილის ნაწერები ორ ტომათ, რომელიც ხელისმოწერით ღირს 60 კაპ. ხელისმომწერებს შეუძლიათ მოიკითხონ იგი კანტორიდან.

✦ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში გამათავებელი კლასის მოწაფეთა გამოცდა დასრულდა ათ ივნისს. სწავლა დაასრულა შემდეგმა მოწაფეებმა.

ლეჩხუმის მაზრიდან: გაბრიელ გოლეთიანმა, გიორგი ჭედლიანმა და რაფიელ შერვაშიძემ (სვანი), რაჭის მაზრიდან, მაკარაშვილმა ალექსანდრემ, დანიელ ნიკოლაშვილმა, დიანოს მაისურაძემ, ფილიპე სალარაძემ და თადეოზ სალარაძემ. შორაპნის მაზ.: პავლე ხარაძემ; ზუგდიდის მაზ.; ელიზბარ ჯიქიამ; სენაკის მაზ.: თეოფან ბასილაიამ. ოზურგეთის მაზ.: დავით ანდღულაძემ, დავით ჭეიშვილმა, ილარიონ ანთაძემ, აკაკი გობრონიძემ, რაფიელ ცინცაძემ, პროკოპი მეგრელიშვილმა, თედორე ჩხიკვაძემ და არჯევან მამალაძემ.

ვისაც სურს შეიძინოს მეურნე მიაკითხოს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში.

### ოდესა.

✦ აპრილში დაჭერილ 8 სტუდენტიდან ხიტუ მიქელაძე, გრ. გეგელაშვილი, დ. ჩიკვაიძე და ყორღანოვი 5 ივნისს გაათავისუფლეს, დანარჩენი ოთხი სტუდენტის საქმე აქაურმა ჟანდარმთა სამართველომ პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს გადასცა. რამდენადაც ვიცით, ყველა ესენი ერთნაირათ არიან დანაშაული. რატომ სხედან კიდევ ეს ოთხი კაცი, ეს კი აღარ ვიცით.

# თფილისი

— სასაკლაოს ადმინისტრაციამ უკვე გასცა იჯარით სასაკლაოს საუტილიზაციო განყოფილება (სადაც გადაყრილ ხორციდან, ქონიდან, ძვლებიდან, სისხლიდან და განავლიდან სხვადასხვა სასარგებლო საგნებს აკეთებენ) და ფრეიბანკი (სადაც უვარგისი ხორცი ორთქლის საშუალებით შეიძლება გამოსადეგ ხორცად გადაიქცეს). ორივე განყოფილება ექვსი წლ. ვადით აიღო ბელზიცმანმა, რომელმაც ქალაქს წლიურად უნდა აძლიოს 4000 მანეთი და ფუთს ფრეიბანკის ხორცზე 2 მანეთი.

— გაზეთი „ახალი ფიქრი"-ს უკანასკნელი ნომერი საცენზურო კომიტეტის განკარგულებით აკრძალეს.

— მუზეუმის დათვალიერება. ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობის მონაწილენი საზოგადოების მუზეუმის დასათვალიერებლად მიიწვია. დათვალიერება მოხდება დღეს, დილის 11 საათზე.

— საიათ-ნოვას მოედანი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, თათართა მოედანს დაარქვას საიათ-ნოვას მოედანი.

— კ. აბაშიძის ლექცია. სამშაბათს, 17 ივნისს ახალ კლუბის საზაფხულო დარბაზში კოკი აბაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „არჩილ ჯორჯაძე, როგორც სიცოცხლის აზრის მაძიებელი". ლექცია შესდგება ორი ნაწილისგან. ლექტორი, სხვათა შორის, შეეხება თვის ლექციაში მხოლოდ ფილოსოფიურ და რელიგიურ წერილებს განსვენებულ არ. ჯორჯაძისა თუ როგორ იძიებდა ჩვენი დიდი მწერალი სიცოცხლისა და ცხოვრების აზრს, ჩვენი არსებობის შინაარსს, მნიშვნელობას.

—✦—

## ჩემი პასუხი.

(ვაკვარით).

გაზეთ „ტალღაში", № 1, დასტამბული ჩემი და ი. ევდოშვილის დაუმსახურებელი ლანძღვა.

არსებითად პასუხის გაცემა ამ წერილის გამო, საჭიროდ არ მიმაჩნია.

დარწმუნებული, ვარ რომ შეგნებული მკითხველი მართლა რომ ზიზღს იგრძნობს, როგორც ამ გვარ წერილების დამბეჭდავ რედაქციისა, ისე იმ ორიოდე თავხედისადმი, რომლებიც „მთელი ქუთაისის მუშებისა და ნოქრების სახელით" ლაპარაკობენ... რომ გაზეთი „ტალღა" უსინიდისოთა სტყუის და მისი ლანძღვის წერილი „მთელი ქუთაისის დემოკრატიისა" არ არის, არამედ „ტალღის" რედაქციაშივეა შეთითხნილი, ეს შემდეგი წერილიდანაც სჩანს:

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ ამ მციროდენ შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთი „იმერეთის" უმახლობლეს ნომერში.

ამას წინათ თქვენს გაზეთში მოთავსებული იყო ბ-ნ იროდიონ ევდოშვილის წერილი ბ-ნ. ვ. რუხაძისა და ქუთაისის ნოქრების შესახებ და ია ეკალაძის შენიშვნა ნოქრების პროტესტის გამოცხადების შესახებ და ვარლამ რუხაძის პასუხისა, თითქოს მასთან მისულიყვნენ ნოქრების წარმომადგენლები და ეთქვათ ი. ევდოშვილის საღამოზე მონაწილეობა არ მიეღო და არ დახმარებოდა.

მე, თვით ნოქარმა, არაფერი არ ვიცოდი პროტესტის შესახებ. კარგს იზამდენ ის ვაჟბატონები, რომელთაც ნოქრების წარმომადგენლების სახელით ვარლამ რუხაძეს დაუშალეს სხვა ნოქრებისათვისაც ეკითხათ: თანახმანი გაუხდებოდენ, თუ არა, და თუ არა, დაგვეკითხებოდენ. იმ შემთხვევაში ნოქრების წარმომადგენლის სახელით კი ნუ დაუშლიდენ ბ-ნ ვ. რუხაძეს, არამედ რომელიმე წრის სახელით.

მე პირადათ თანახმა არა ვარ პროტესტის გამოცხადებისა და არც ვიქნები ი. ევდოშვილის შესახებ. ან რა ადამიანი უნდა იყოს ის, ვისაც კი წაუკითხავს ბ-ნ. ი. ევდოშვილის ლექსები პროტესტი გამოუცხადოს მას. ამას, ჩემის მხრით, შეუწყნარებელ ცოდვათ მივიჩნევდი. ერთი სიტყვით, მე შემიძლია დავასახელო ჩემი აზრის მომხრეებიც, რომლებიც, როგორც მე, ისე ისინიც, წინააღმდეგი არიან პროტესტისა. ან რა ნოქარი უნდა იყოს ის, რომელიც ასეთ საღამოს არ დაესწრებოდა და არ მოისმენდა იმას, რაც ბ. ირადიონს შეუქმნია და გადაუცია იმ ხალხისთვის, რომლებიც აფასებენ მის ნიჭსა და სამშობლოსათვის სიყვარულს.

კიდევ ვიმეორებ: რომ არა ერთი და ორი ნოქარია ამ აზრის მომხრე, **არამედ ასზედაც მეტი**.*)

სასურველია, თუ სხვა ნოქრებიც ჩაუკვირდებიან და დაინახავენ თავის შეცდომას.

**ნოქარი სანდრო.**

დიახ, ამ წერილიდან (და აგრეთვე იმ წერილებიდანაც, რომელიც ჩვენ რედაქციას აუარებელი მოსდის) ნათლადა სჩანს, მთელი **სიყალთაბანდე**, გაზეთ „ტალღისა" და მის თანამშრომლებისა.

*) გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ამ სიტყვებს. თუ კი ასი კაცი წინააღმდეგი არის „ნოქრებისა", ვინ და არიან ჩვენი მლანძღველები? ორი და სამი კაცი? ეს არის განა „ქუთაისის დემოკრატია"? **ი. ე.**

ნეტა, როდემდის უნდა ატყუოთ ხალხი „ტალღისტებო"!?

მარტო ჩვენისთანა გაველურებულ ქვეყანაში თუ შეიძლება ასეთი ამბები. მარტო ჩვენისთანა „უპატრონო ეკლესიას თუ დაეპატრონებიან ეშმაკები", თორემ არსად დედამიწის ზურგზე არცა თქმულა და არც გაგონილა, რომ თავისს სიღისა და ნათელი აზრის მასწავლებელს აგინებდენ და ზიზღს უცხადებდენ!...

ნუთუ მართლა „ვეზიზღები" იმ ორმოცსა და სამოც ქუთათურ მუშა-ნოქრებს, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ვეხაასებოდი ქართულ ლიტერატურასა და მიმართულებებზე? თუ ეს ასეა, ვწუხარ, რომ ტყვილათ დამაშვრალვარ... ხოლო თუ ეს ასე არ არის, იმედია, ისინი გასცემენ პასუხს ჩემ მაგივრათ გაზეთ „ტალღას" და მის დამქაშებს...

რაც შეეხება „ტალღის" რწმუნებას ჩემის „რენეგატობის" შესახებ, უნდა მოვახსენო შემდეგი:

1) ჯერ ერთი უგლახესი მიმართულების გადაცვლა უმჯობესზე, მარტო „ტალღასა" და მის „მეცნიერ" თანამშრომლებს თუ გაუკვირდებათ და

2) მეორეც ერთი, მე **სოციალდემოკრატი თავის დღეში არა ვყოფილვარ.** მე ვიყავ „**მესამე დასელი**" რაც მაშინ **ქართველ დემოკრატობას უდრიდა** და რაც დღესაც ერთად ერთ სწორე მიმართულებათ მიმაჩნია იმისთანა უკეთურ ქვეყანაში, სადაც ბულბულის მაგივრად ყვავები ჩხავიან და გულწრფელ, პირდაპირ, ხალხისათვის თავდადებულთა ნაცვლად, მუდლებითა და ქვენაგრძნობით აღსავსე გელეიშვილები დათარეშობენ!..

გაზეთ „ტალღასა" და მის მეცნიერ თანამშრომლებს უნდა მოეხსენებოდეთ, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ „რუსეთის სოც. დ. პარტიის" წევრადაც. მას შემდეგ, რაკი „მესამე დასელების" უმრავლესობა ინტერნაციონალიზმის სახელით იმპერიალიზმის დროშის ქვეშ დადგენ და პლეხანოვ-ჩერნოვ-ლენინების, ამ უდიდესი იმპერიალისტების, — ყურმოჭრილ და ბრმა მონათ გადაიქცნენ, მე, ეს პაწია კაცი, ჩამოვშორდი და მათთან საერთო არა მქონია-რა დემოკრატობის გარდა, რომელ დემოკრატობასაც (ახლა ასე მგონია) ტყვილათ იჩემებენ ბრმანი და ყრუნი ჩვენის ცხოვრებისათვის ე. ი. რუს. სოც. დემოკრატიაში გათქვეფილი ქართველი „დასელები".

მე არც ისეთი მეცნიერი ვარ, როგორც „ქუთათური ნოქრები და მუშები" (ბრჩხილებში), რომ ქვეყანას თავპირი მოვაჭამო და არც ისეთი თავხედი როგორც, „ტალღის" თანამშრომლები, რომ „მთელი კაცობრიობის" სახელით ვილაპარაკო იმ დროს, როცა ჩემ სახლს ცეცხლი უკიდია და „ძაღლი პატრონს ველარა სცნობს" და ამიტომ ვკმაყოფილდები ქართველ **დემოკრატობით**.

მაშასადამე **ერთხელ და სამუდამოთ მოგითხოვ „ტალღელებსა" და მის დამქაშთაგან**— ჩემ „რენეგატობას" თავი დაანებონ და ისედაც გზა აბნეულ თავის მკითხველებს ნუ აზავთებენ და ნუ აბრიყვებენ.

თუ მე და ევდოშვილი „საზიზღრები" ვართ, საზიზღრებივე იქნებიან თქვენი რუხაძეები, ქუჩიშვილები, ტაბიძეები, სპ. მცარიშვილები და ყველა ის ახალგაზდა — ამჟამად თქვენი ყურმოჭრილი მონა, მაგრამ პატიოსანი მწერლები, რომლებიც **ჩვენი მოწაფენი არიან?**

დიახ, ჩვენი მოწაფენი!

ვინაიდან ისინი მღერიან ჩვენ ჰანგებს, ჩვენგან არიან გაწვრთნილი მწერლობაში და ჩვენზე მეტი არა გაუკეთებიათ რა არც სიტყვით, არც საქმით, გარდა იმისა, რომ ყურმოჭრილი ყმები გამხდარან მბრძანებლათ!...

მივმართა ზემოთ დასახელებულ მწერლებს და ვკითხავ:

„ნუ თუ ისინიც იზიარებენ „ქუთათურ ნოქრების" (ბრჩხილებში) აზრს ჩვენ შესახებ?..

მაშინ თითონ გამოვიდენ გაზეთებში და ღირსეულ პასუხსაც მიიღებენ, თორემ რა ველაპარაკო იმათ, ვინც „მთელ ქუთაისის დემოკრატიას" ამოფარებია და ილანძღებიან.

აიხადონ ნიღაბი! იქნება მართლა არიან ისინი საკიზღრები, ქურდები და შანტაჟისტები.

ან, ნუ თუ ქუთაისის **დემოკრატია** პასუხს არ მოსთხოვს იმათ, ვინც მათის სახელით შეურაცხყოფას გვაყენებს?..

მაგრამ ან კი განა საკმარისი არ არის ის, რომ საზოგადოებამ ზიზღით გასცა პასუხი „ნოქრების" ბოიკოტს და მთელი თეატრი აავსო?..

როდის გაგიმართავთ ასეთი საღამო თქვენ, „ხალხის ჰირისუფლებო"?

არასოდეს!

იქნება იმიტომ ილანძღებით, რომ დამარცხდით და დამარცხდით სასტიკადაც?..

თორემ სხვა რა დავაშავეთ სალანძღავი?

იქნება ის, რომ ბრმებს თვალებს ვუ... ხელთ და მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს ვიცავთ, მშიერნი, დევნილნი, უსახლკარონი, ავათმყოფნი?..

უმადურიმც ყოფილხართ!

ია ეკალაძე.

# სახელმწიფო სათათბირო.

9 ივნისის სხდომა.

ვარუნ-სეკრეტი თავჯდომარეობს. მიღებულ იქნა 11 კანონპროექტი, მიიღეს კანონპროექტი, რომ 169,000 მანეთი იქნას გადადებული რუსეთში რადის მინერალებიან ადგილების შესამოწმებლათ.

შუბინსკიმ მოახსენა კანონპროექტი, რომ განხორციელებულ იქნეს ადგილობრივ სასამართლოების რეფორმა შემდეგ გუბერნიებში: ვიტებსკისა, ვილენსკისა, გროდნისა, კოვნისა, მინსკისა, მაგილიოვისა, ბესარაბიისა, ვოლინეჟისა, ორლოვსკისა, ტამბოვისა, ნიჟეგოროდისა, ქალაქებში: ყაზანში, სარატოვში და ასტრახანში.

ჩერნოსვიტოვი 1-ლი ამტკიცებს, რომ სამინისტრო მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდა, როდესაც ამ კანონს ასე სწრაფად ანხორციელებდა.

გეღოვანი აცხადებს, რომ შრომის ჯგუფი კანონის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლის წინააღმდეგ მისცემს ხმას. კანონპროექტი მიღებულ იქნა უკამათოდ, მიიღეს 15 კანონპროექტი. კამათობენ სასოფლო და სამოქალაქო სამღვდელოების ჯამაგირების მომატებისათვის. ყოველწლივ 2,550,000 მანეთის გადადების თაობაზე. კანონპროექტი მიიღეს.

# დეპეშები.

9 ივნისი.

### რუსეთი.

პეტერბურგი. კადეტების ფრაქციამ სათათბიროში საკანონმდებლო მოსაზრება შეიტანა მიწის საიჯარო ფასის მოწესრიგების შესახებ.

სახალხო განათლების მინისტრის საბჭომ დაწვრილებით განიხილა საერველო სკოლების მასწავლებელთა საპენსიო თანხების საკითხი 1898 წ. დებულებისა, რომელიც კასაში გადაცემულია 1910 წლ. 15 იანვრის კანონის ძალით; ეს გამოწვეულია გაზეთებში დაბეჭდილ ცნობების გამო, თითქოს ამ თანხებიდან 1,200,000 მან. გაფლანგულია. საბჭომ თათბირის შემდეგ სცნო, რომ ხმები სიმართლეს მოკლებულია.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი პოლონეთის ქალაქებში სამოქალაქო დებულების შემოღებისა. არსებითად იგი ისეთივეა, როგორიც გატარებული იყო სათათბიროში და არ განხორციელდა საბჭოსთან უთანხმოების გამო.

### უცხოეთი.

პარიზი. სენატის კომისიამ დაადგინა, საერთო შემოსავლის გადასახადი შეიტანოს 1914 წლის საფინანსო კანონში.

თეირანი კავკასიის მეფის მოადგილესთან მყოფი გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე მილლერი სპარსეთიდან დაბრუნების დროს, გზაში უეცრად გარდაიცვალა გულის სიგანივრისგან.

ტოკიო. იმპერატორმა პარლამენტის საგანგებო მისია გახსნა.

ქაირი. პორტ საიდში მყოფმა გერმანიის კრეისერმა „გებენმა" განკარგულება მიიღო სმირნაში წავიდეს და სხვა სახელმწიფოების გემთან ერთად იქ დარჩეს, ვიდრე საბერძნეთ-ოსმალეთის საკითხი არ გადასწყდება.

ლიუბლინა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სლოვიანელ შევარდნების ყრილობა აკრძალა ლიუბლინაში. ამით სლოვიანები ძლიერ აღშფოთებული არიან.

# რუსეთი.

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

ამ დღეებში სახ. საბჭოს წევრის ნიკოლსკის თავჯდომარეობით გაიხსნება თათბირი თფილისში პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დაარსების საკითხის განსახილველათ. პოლიტეხნიკუმის გახსნა განზრახულია 1915 წელს. მომავალმა საუწყებათო შორისო თათბირმა უნდა განიხილოს კავკასიაში მეფის მოადგილის მიერ აღძრული საკითხი პოლიტეხნიკუმში და-

ბისათვის მცალია და არც ვისიმე პროგრამის დამახინჯებისათვის. მე ღრმათა მწამს გულწრფელობა და პატიოსანი მისწრაფება ჩვენის დასელებისა. მე მსურს მხოლოდ გამოვარკვიო მიზეზები, წყარო ჩვენის საერთო უბედურებისა, ჩვენის დაკნინებისა, ჩვენი საზოგადოებრივობის უძლურებისა. მე მსურს დავაჯერო ჩემი თანამოძმენი, ჩემი თანამემამულენი, რომ სათავე ყოველივე სიგლახისა, ყოველივე უბედურებისა ისევ ჩვენშივეა. მიზეზები ჩვენის გათახსირებისა გამომდინარეობენ ჩვენის საზოგადოებრივ აზრისა და ჩვენში მომქმედ საზოგადოებრივ დასთა პროგრამების ფორმულათა არევ-დარევისა და გაუგებრობისაგან. აი, ამიტომაც ვამბობ, რომ არ შეიძლება მეთქი ერთსა და იმავე დროს კაცი, ადამიანი **ინტერნაციონალისტიც** იყოს და **იმპერიალისტიც**. რუსეთი ნიშნავს იმპერიას, სახელმწიფო, იმპერია კი ჰყლაპავს ეროვნებებს, განურჩევლად სარწმუნოებისა, მოდგმისა და ენისა; იმპერიის გაძლიერებასა და მთლიანობას ექვემდებარება ყველა ადგილობრივი ეროვნული უფლებანი და ინტერესები.

იმპერიალიზმი სრული მოპირდაპირეა ინტერნაციონალიზმისა, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნებაა. იმპერიალიზმი უმორჩილებს ყველა ერებს თავის პოლიტიკის ინტერესებს, ინტერნაციონალიზმი კი სცდილობს ძმური კავშირით შეაერთოს თანასწორ უფლებიანი, ავტონომიური, თავის თავის გამგებელი ნაციები... არა სახელმწიფოები, არა იმპერიები, არამედ ნაციები, ერები-მეთქი.... გაიგეთ? ნაციები და არა სახელმწიფოები! ჩვენი დასელები კი გაუგებრობისა და უმეცრების წყალობით თავის თავს ინტერნაციონალისტებს უწოდებენ და ამავე დროს იმპერიალიზმის დროშის ქვეშ კი დგებიან.

აქედან გამომდინარეობს მათი დუხჭირი მდგომარეობა, მათი ტრაღიზმი: იმპერიალიზმის გულისათვის ჩვენი დასელები უარსა ჰყოფენ ჩვენს ეროვნულ უფლებებს, სასამართლოს, სკოლას და არჩევნებზე დამყარებულ მართველობას ქართულის ენით, რომელი ენაც მხოლოდ ესმით გლეხობასა და მუშებს საქართველოისას, თუმცა ამავე დროს, როგორც ყველამ ვიცით, ჩვენი დასელები მთელ თავის ძალღონეს სწირავენ ჩვენის ხალხისა და მუშების კეთილდღეობას. განა ეს ტრაღიზმი, სიდუხჭირე არ არის? განა ეს არ უდრის იმ რეგვენულ საქციელს, როცა ძველ სახლს ანგრევენ და ახალი კი არსადა სჩანს?...

არა ნაკლები სიდუხჭირე და ტრაღიზმი გამომდინარეობს ჩვენთვის იმ გარემოებიდანაც, რომ რიგიანათ არ ესმით და არეულ-დახლართულათ გამოსთქვამენ ხოლმე პრინციპებს ფედერალიზმისას, სოციალიზაციისასა და ავტონომიისას. გაუგებრობა და გაურკვევლობა იმ ცნებათა, რომლებიც ამ საკითხებს შეეხება და რომელთაც აღიარებენ ჩვენი საზოგადოებრივი დასები, წარმოსდგება იმ ბუნდოვანობისა და გაურკვევლობისაგან, რომელიც გამეფებულია გერმანიის სოციალ-პოლიტიკურ ლიტერატურაში, რომელ ლიტერატურის ზეგავლენითაც, სამწუხაროთ, შექმნა ჩვენმა თანამედროვე თაობის უმრავლესობამ თავისი საზოგადოებრივი იდეალები.

ვ. ბაზიანი.

შემდეგი იქნება.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიაშვილის სითხით

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
ენახების სასქმო მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.

უმაღლესი ხარისხის
ძლიერ ზომიერ ფასად
ნამდვილი ინგლისური
შაბიამანი;
გოგირდის ფხვნილი, ქაკმენის სითხე.
მახქანების ყოველგვარი რეზინები და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

# ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთისსამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

მატებითი გიდროტეხნიკური განყოფილების დაარსების შესახებ. (რ. ვ.).

ჩხრეკა და დატუსაღება მოწაფეთა.

ვარშავაში პოლონურ შკოლების მოწაფეთა შორის ჩხრეკა მოახდინეს. ეძებენ თვითგანვითარების წრეებს. ბევრი მოწაფე დაატუსაღეს. (რ. ვ.).

ჩხრეკა მოკავშირეთა შორის.

ქ. ორიოლში ადგილობრივ მოკავშირეთა უმთავრეს ბინაზე საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ჩხრეკა მოახდინა. ჩხრეკამ ქალაქში სენსაცია გამოიწვია. ჩხრეკის შედეგები ჯერ საიდუმლოთ არის შენახული. თვით მოკავშირენი ამბობენ: გამომძიებელი ეძებდა დედანს წერილისას: „მოსიარულე აჩრდილი იუშჩინსკისა", რომელიც შარშან დაიბეჭდა მოკავშირეთა ადგილობრივ ფურცელ „ორიოლში". (რ. ს.).

# უცხოეთი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ალბანეთის ამბები.

პრინცი ვიდი აღელვებული უკანასკნელი ამბებით ყველგან ღალატს ხედავს. მისი განკარგულებით, დაატუსაღეს ფინანსთა ყოფილი მინისტრი აზის-ფაშა, რომელსაც აბრალებენ აჯანყებულებთან კავშირის დაჭერას.

იტალიასა და ავსტრიას შორის ამ დღეებში მოლაპარაკება იყო, ალბანეთის საქმეთა გამო. ვენის კაბინეტმა გაუცხადა რომის დიპლომატებს, რომ იტალიის ელჩი ძლიერ ცუდათ იქცევა პრინცის მიმართო. რომის კაბინეტი დაპირდა, რომ ელჩი გაწვეული იქნება ალბანეთიდანო. ამის სამაგიეროთ იტალიამ წინადადება მისცა ავსტრიას, ნუ დაიცავს იგი ვიდის ტახტს. და, როგორც ამბობენ, ავსტრია ამაზე დათანხმებულა. ბერტჰოლდსა და სან-ჯულიანოს შორის მოლაპარაკება კვლავ გრძელდება.

ხმები დადის: ფიუმს მივიდა ესადფაშა და გემით წასვლას აპირებს დაურაცოში. (რ. ს.)

—✦—

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით, თანახმათ საზოგადოების კომიტეტის დადგენილებისა, ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ. მოსე არონის ძე ელიგულაშვილს, და გრეთვე ყველა იმ პირს, რომლებმაც კეთილ ინებეს და თავისი პირადი შრომით, ან შესაფერ წილის გადახდით, ხელი შეუწყვეს მომავალი კომერციული სასწავლებლის მატერიალური მხრის გაძლიერებას.

ამასთანავე ვარდგენთ შემომწირველთა სიას.

შენიშვნა: სიაში აღნიშნული 700 მან. მოსკოვიდან შეკრიბა მოსე არონის ძემ ელიგულაშვილმა.

კომიტეტის თავჯდომარე რ. დათეშიძე.
მდივანი ა. მხეიძე.

მოსკოვიდან:

| | | |
|---|---|---|
| „ამხან." ნ. ნ. კონშინისა | 100 მან. | |
| „ამხან." ივანე გარელინის | 300 მან. | |
| „ ემილ ცინდელის | 100 | „ |
| ფ. მიხაილოვი და შვილები | 100 | „ |

ბაქოდან:

| | | |
|---|---|---|
| ლ. გ. გინზბურგი | 50 | „ |
| „ამხან". ბუნკოვისა და მირონოვის | 50 | „ |
| თფილისის სათ.-სააზ. ბანკი | 100 | „ |
| სენაკის საურთ. ნდობის ბანკი | 100 | „ |
| ყვირილის საურთ. ნდ. ბანკი | 100 | „ |
| ვოლგო-კამის ბანკი (ქუთაისში) | 150 | „ |
| იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი | 10 | „ |
| თავდიდიშვილი მ. შ. | 5 | „ |

ონიდან:

| | | |
|---|---|---|
| კერესელიძე დავით ვასილის ძე | 3 მან. | |
| გელოვანი ასლან გიორგის ძე | 2 | „ |
| ბუზუკაშვილი შაბათა იაკობის ძე | 2 | „ |
| ბერუჩევი იაკოფ არუთინის ძე | 2 | „ |
| ტყეშელაშვილი იასონ მარკოზის ძე | 1 | „ |
| თვალჭრელიძე სიმონ გიორგის ძე | 1 | „ |
| გოგნაძე ვარლამ დავითის ძე | 1 | „ |
| ნიჟარაძე რაჟდენ ფარნაოზის ძე | 1 | „ |
| კობერიძე ვასილი ივანეს ძე | 1 | „ |
| ძმ. ნ. ი. ბ. იარალოვები | 3 | „ |
| მოგირიძე დავით რამაზის ძე | 1 | „ |
| გაჩეჩილაძე ლავრენტი ანდრიას ძე | 1 | „ |
| აბაიშვილი ანტონ ფრიდონის ძე | 1 | „ |
| მაჩალაძე კონსტანტინე პავლეს ძე | 1 | „ |
| ჩალაძე არსენ პავლეს ძე | 1 | „ |
| რხმალაძე ილარიონ დიმიტრის ძე | 1 | „ |
| მასხარაშვილი იაკიმე კონსტანტინეს ძე | 1 | „ |
| დეკანოზი მათე გორდეზიანი | 1 | „ |
| მდივნიშვილი იოსებ ჯავახის ძე | 1 | „ |
| ხახიაშვილი ისრაელ მოშას ძე | 1 | „ |
| ბუზუკაშვილი არონ მოშას ძე | 1 | „ |
| ხახიაშვილი ზებულონ მარდახის ძე | 1 | „ |
| ხახიაშვილი მიხეილ აბრამის ძე | 1 | „ |
| ხახიაშვილი ხაიმ აბრამის ძე | 1 | „ |

---

უმორჩილესათ გთხოვთ მოათავსოთ ეს პატარა შენიშვნა თქვენ პატივცემულ გაზ. „იმერეთში".

ამ დღეებში გაზეთებმა გვამცნეს, რომ თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროს ბ. მუსელიუს მოწერილობა გაუგზავნია ამიერკავკასიის გუბერნატორებისთვის რომელშიც სთხოვს მათ დაჩქარებით შეატყობინონ, სად ან რომელ ალაგს სასურველია გაიხსნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაო. საჭიროა, ვანისა და ტობანიერის ინტელიგენციას არ გამორჩეს ეს მარჯვე შემთხვევა და სთხოვონ გუბერნიის მართველს, რომ მათი სოფლებიც არ დარჩეს მივიწყებული და გახსნან აქ ხსენებული განყოფილება, რადგან ეს ყოველი მხრით ბუნებისგან დაჯილდოებული მხარე, უიმისოთაც მოწყვეტილი არის ცხოვრებას, უგზობისა და რიონზე უხიდობის გამო.

დავით ნემსაძე.

—✦—

# სია

იმ პირთა, რომელთაც შესწირეს სხვადასხვა ნივთი წერა-კითხვის საზოგადოებას 4 მაისის სეირნობის გასამართავათ.

გაგძელება იხ. „იმერ." 75-ე №.

ეკატერინე ი. ასულმა შენგელიასამ 3 მან. ფულათ, რეალური სასწავლებლის ინსპექტორმა ბ. ბიბერგალმა 3 მ. ფულ., სონია გვარამიას ასულისგან მოქარგული ბალიშის პირი, ილია პ. კაკაბაძისგან 3 მან. ფულათ, იაკობ პავლ. კოსტავამ 2 მან. ფულათ, რაფაელოვმა და ჩაკვეტაძემ გვათხოვა უსასყიდლოდ მთელი ჭურჭელი, რომელიც საჭირო იყო ვახშმისა და ჩაის სტოლებისთვის, ქ-ბმა პატუ და ელენე ხუნდაძეებმა 1 საპუდრე, 1 საკარაქე და 1 ფინჯანი, ლამბაქი, სამსონ კიკავამ 5 შემწვარი წიწილი, ვასილ შავგულიძემ და თეოფილე მუშკუდიანმა გოჭი, ვანიჩკა ბაბუნაშვილმა 6 წიწილი, სპირდონ ჭავჭანიძემ და მაჭარაძემ 1 ცხვარი, კარაპეტ გაბრუელვასკამ 1 ფუთი ფეთრი პური, სოლომონ დოლიძემ 1 ცხვარი, ოლღა მოსეშვილისამ 3 მან. ფულათ, ნადეჟდა ჩხატარაშვილმა ერთი დიდი საპურე, კალენიკე საყვარელიძისამ სასმელის გარნიტური, ლუბა ქელბაქიანისამ მოქარგული ზოლი, ცაცუ არჯევანიძისამ მოქარგული ზოლი, ბარბალე ბერიძისამ მოქარგული ზოლი, ალექსანდრა კერესელიძისამ 6 ხილის საინი, გასპარიშვილის მაღაზიამ 1 ტიკინი და ერთი ბურთი, პაშა დათეშიძისამ ერთი საყელო, ვასილ ქაშიბაძემ ხუთი ბოთლი შამპანიური, იაკობ ავსარქისოვმა 4 ბოთლი არაყი და 1 ბოთლი კონიაკი, ბაბო მიქელაძისამ 2 ვაზა ყვავილები, ერთი დიდი სარძევე, ერთი საფერფლე ტერმომეტრი და ერთი პულვერიატორი, კნიაჟნა თამარა აგიაშვილისამ ერთი საფულე ქისა, 2 თიხის ლიტრა, 1 ფინჯანი თავის ლამბაქით და ერთი პატარა ხავერდის კოლოფი.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჯღლაძე.




დაიწყო ხელის მოწერა
# ჯაჯუ ჯორჯიკიას
თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის" რედაქცია სერ. გერსამიასა და გიგლა მებუკეს.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალენჯიხში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ლამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ-სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინამძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოლალევში** აქსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მალლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჰრეპალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვა დასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საგარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

**სახალხო განათლების მინისტრის** განკარგულებაში მყოფის ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის, მისი მზომლობისა, საამშენებლო და სამეურნეო განყოფილებიანს
## თფილისის პოლიტეხნიკურ კურსებზე
პირველ სემესტრში გამოუცდელათ მიიღებიან: 1872 წლის დებულების სამოქალაქო სასწავლებლისა, ან და მისი მოთანასწორე სასწავლებელ დასრულებული პირები. მიწისმზომლობის განყოფილების დამსრულებლებს, თუ საჭიროება იქნება, სამიჯვნელო ნაწილის გამგე თანაშემწეების კანდიდატებათ და მიწის მომწყობი კომისიის მიწის მზომლებათ ირჩევს. (სამიჯვ. ნაწ. გამგის 1914 წ. 22 თებერვლის 1072 ნუმრის მოწერილობა). მიწისმზომლობის განყოფილებაში ორი წლის კურსია, საამშენებლოსა და სამეურნეოსაში კი ორი წლინახევრის. პროსპექტებს ვგზავნით ექვსი შაურის საფოსტო მარკების მიღებისთანავე.
მისამართი: თფილისი, პუშკინის ქ. № 8 ტელ. 10-30.

# სამკურნალო აბანო.
ძმ. ქორქოლაძეების
სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე
თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.
ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარეიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში". აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში" იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

## სახლის პატრონთა საყურადღებოთ.
წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ
## ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
# ქუთაისში
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

## ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
## ველოსიპედები


ყველაზედ იაფად.
შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

# რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| შორაპანს: | საგარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| შორაპნიდან: | საგარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.